ალექს ჩიღვინაძე

ამას ტურისტებს არ უჩვენებენ

„როდესაც ტელევიზორს ვუყურებ და ამდენ დამშეულ ბავშვს ვხედავ, ცრემლებს ვერ ვიკავებ. რას არ მივცემდი, რომ მეც ისეთი გამხდარი ვიყო, როგორც ისინი, მაგრამ ამ ბუზებისა და სიკვდილის გარეშე“.

მერაია ქერი

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

ელენე, 30-35 წლის

სანდრო, 25-27 წლის

სონია, 25 წლის

მანეკენი

დახრილი ხაზი (/). დიალოგების გადაფარვის წერტილი.

Scanned with CamScanner

მოქმედება 20 წუთის განმავლობაში გამომცემლობა „ნეონის“ ოფისში ვითარდება. ჩვეულებრივი სამუშაო დღე. კომპიუტერების მონოტონური ბზუილი. სონია – დამლაგებელია.

რედაქციაში, დეკორატიული დანიშნულებით, სოლიდურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცის თეთრი მანეკენი დგას, როგორც რაინდის აბჯარი უძველეს ციხე-სიმაგრეში. ელენე და სანდრო კომპიუტერებთან სხედან და მოჩვენებითი ყურადღებით საქმეში დანთქმულან. ცოტა ხანში ელენე დგება, იცვამს, თანამშრომლებს ემშვიდობება და გარეთ გადის. ნახევარ წუთში უკანვე შემორბის. სახეზე აწერია, რომ საშინელება მოხდა. ცდილობს, ღრმად ისუნთქოს.

Scanned with CamScanner

სონია. რა მოხდა?

ელენე. ბავშვი....

სონია. ბავშვი?

ელენე. ჰო, ბავშვი იპოვნეს.

(ტელეფონი რეკავს. სანდრო პასუხობს.)

სანდრო. გამომცემლობა „ნეონი“ გისმენთ... დიახ, ჩავიწერ თქვენს შეკვეთას/

ელენე. ჩვენ გვერდით რომ მშენებლობაა/

სანდრო. ე.ი. გინდათ ასი „რჩევები ახალბედა მშობლებს“, ასი „შუაღამის ანგელოზი“, ოც-ოცი მოდის ისტორია და ჩინური სამზარეულო...

ელენე. გადაგდებული ბავშვი იპოვნეს, ნახევარი იყო დარჩენილი.

სანდრო. საშინელებაა... არა, თქვენ არ გეუბნებით. შეკვეთას ხვალისთვის გაგიმზადებთ.

(ყურმილს კიდებს და სიგარეტს უკიდებს.)

ელენე. (ელენეც უკიდებს სიგარეტს) საშინელებაზე მეტია. ბავშვებმა იპოვნეს, თოჯინა ეგონათ თურმე.

სანდრო. საწყალი ბავშვები!

ელენე. ცუდად გავხდი... წყალი მომიტანე რა, სონია.

(სონია ასხამს წყალს)

Scanned with CamScanner

სანდრო. მერამდენე შემთხვევაა უკვე... გუშინ ვკითხულობდი ზუსტად ამაზე სტატიას... ეპიდემიასავითაა მოდებული.

ელენე. არ მოგაქვს წყალი?

(სონია წყალს ასხამს და ფრთხილად მიდის ელენესკენ, რომ წყალი არ დაექცეს)

სანდრო. გაზაფხულზე მდინარემ ორასი ახალშობილი გამორიყა. ყვითელ ცელოფნის პარკებში გახვეულები, ზედ ეწერათ „სამედიცინო ნარჩენები". ემბრიონები, ზოგიერთი მათგანი კი რამდენიმე თვის იყო. კოშმარია.

ელენე. უკვე აღარაფერი მიკვირს.

სანდრო. სადღაც აფრიკის დასახლებაში, ნაგავსაყრელზე ჩვილი იპოვნეს. სადღაც პირდაპირ ნაგვის ურნაში მოისროლეს ფანჯრიდან, სადღაც თავი თხილის სატეხი პატარა ჩაქუჩით გაუჭეჭყეს...

ელენე. გაუჭირდა ხალხს, ძალიან...

სანდრო. ხალხს რომ გაუჭირდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბართლომეს ღამე უნდა მოვუწყოთ ბავშვებს?

ელენე. არა, მარტო გაჭირვებაც არ არის მიზეზი...

სანდრო. ჩინეთში არის რესტორნები, სადაც შეგიძლია 300-400 დოლარად ემბრიონისგან გაკეთებული კერძი მი-

Scanned with CamScanner

ირთვა. ამბობენ, რომ ეს ხელს უწყობს პოტენციის ამაღლებას და სასიცოცხლო ენერგიის გაზრდას. ემბრიონებს პროვინციიდან ჩამოსული გაჭირვებული წყვილებისგან იბარებენ, ფასი დამოკიდებულია ზომაზე, ასევე იმაზე, ცოცხალია თუ მკვდარი...

ელენე. ისღა დარჩენიათ, ემბრიონების კონსერვები გამოუშვან.

სანდრო. ეგეც არსებობს... მაგრამ როგორც გურმანები ამბობენ, კონსერვირება და გაყინვა, მაინც აფუჭებს პროდუქტს.

(სონია ოფისის დასუფთავებას აგრძელებს. მეტისმეტი გამალებით აპრიალებს საოფისე ინვენტარის ზედაპირს. უნებურად ყველაფერი ძირს უცვივა.)

ელენე. ყველა დედაზე ლაპარაკობს, მაგრამ არავინ ახსენებს იმას, რომ ამ ბავშვს მამაც ჰყავს...

სანდრო. მამა? რა შუაშია მამა? არ მესმის, როგორ უნდა მიგიყვანოს ამ მდგომარეობამდე, რომ საკუთარი შვილი მოკლა.

ელენე. ძირითადად ალბათ გაუპატიურების შემდეგ აკეთებენ ამას...

სანდრო. შურისძიებაა?

Scanned with CamScanner

ელენე. (დგება, მანეკენთან მიდის, ხელს დაავლებს და სცენის შუაგულში გამოათრევს) აი, ასე ხდება ხოლმე: პატარა, ობოლი გოგო ხარ. გაიცნობ ასეთ ვაჟბატონს. სასმელზე დაგპატიჟებს. პირდაპირ კენტავრივით იქცევა. (მანეკენს ეფერება) თავბრუს დაგახვევს. და ერთ თბილს ღამეს, პარკში... აგიწევს კაბას, ჩაგხდის ტრუსს, ხისკენ მიგაბრუნებს და კარგად მიგატყნავს. ტირილი გივარდება. ერთადერთი გამოსავალია იფიქრო, რომ ეს შენ არ ხარ. სხვაგან ხარ... სხვას გადახდა ეს ყველაფერი.

სანდრო. გოგოს თუ პატრონი ჰყავს, რა უნდა შუაღამისას გარეთ, მარტოს?

ელენე. პატრონი არავის ჰყავს/

სონია. (მიდის მანეკენთან, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, დაიწყოს თუ არა თხრობა)

ღამე არ ყოფილა. 8 საათიც არ იქნებოდა... სახლში ვბრუნდებოდი. უცბად პირზე ხელი ამაფარეს, ბნელ ჩიხში შემათრიეს... თვალი რომ გავახილე, ტანსაცმელი შემოხეული მქონდა, ტუჩი გახეთქილი, მთელი სხეული მტკიოდა... ქვემოთ სულ სველი ვიყავი. გაწვიმდა./

ელენე. აჰა, შეიძლება ეგრეც მომხდარიყო...

სონია. არა, ზუსტად ასე მოხდა...

Scanned with CamScanner

(სინათლე ქრება. ქალის კივილი. ძალადობის ხმები. წვიმის ხმა. სცენაზე წითელი განათება. ჩნდება გალუმპული სონია. შემოხეული ტანსაცმლით. ზუსტად მანეკენივით ჩაცმული მსახიობი მას უხეშად ეფერება. ენას ყურში უყოფს. სონია ხელებჩამოშვებული დგას.)

არ ვიცი, როგორ მივაღწიე სახლამდე. კარი გავაღე და ოთახში ჩუმად შევიპარე. აბაზანაში ჩავიკეცე... ჩამეძინა. არ ვიცი რამდენი საათი მეძინა.

დედაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი. აბაზანიდან გამოვლასლასდი. გავედი სამზარეულოში. ქურაზე დილას გაკეთებული ფაფა იდგა. თეფშზე დავასხი. ოთახში შევედი.

(„მანეკენი“ თავშალს იხურავს და სავარძელში მოკალათდება.)

სონია. დედა, დედა, რატომ გაქვს ასეთი მკაცრი თვალები...

დედა, დედა, ჭამე რა, შენი დედა მოვტყან...

ერთი საათი ჩემს გასაგონად კვნესოდა, ვითომ ტკიოდა, წუწუნებდა, რომ არ ვუვლიდი... რომ ასე არ ექცევიან დედას. თან როგორ დედას. ხელი მოვკიდე, კედელზე უნდა მიმეხეთქებინა... მაგრამ შემეცოდა. ისეთი უმწეო

Scanned with CamScanner

იყო, მოკუტული, გამელოტებულ პატარა თავზე ერთი ბლუჯა ჭაღარა თმა შერჩენოდა... მაინც კოსა გაეკეთებინა. ქვითინებდა...

(სინათლე ისევ ქრება.)

დედა, დედა, დედიკო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ცრემლები?

დედა, ახლა მაინც ჭამე...

და მერე დედაც იწყებდა ჭამას. ჩემს ჭამას იწყებდა. და არავინ მოდიოდა, არ უჭრიდა მუცელს რომ ამოვეყვანე... რომ მეცხოვრა დიდხანს და ბედნიერად.

(სინათლე ინთება. გაცოცხლებული მანეკენი ახლა თეთრ ხალათშია გამოწყობილი. სონია სავარძელზე წევს და ფეხები გადაუშლია. მანეკენი სონიას ფეხებშორის შემძვრალა. და ნაწილ-ნაწილ გამოაქვს თოჯინის ხელ-ფეხი, თავი, ტანი, მეგაფონი, ვარდის ფურცლები.)

დავორსულდი. ვერავის ვეუბნებოდი. მესიზმრებოდა, რომ აბორტს ვიკეთებდი, ვხედავდი ექიმებს. ძალიან მტკიოდა. ვხედავდი სისხლს. მერე კი ყველა ჩემი ნაცნობი მოდიოდა... შენ ხომ ქალი არ ხარ, შენ რა დედობის ღირსი ხარ!

მანეკენი. (მეგაფონში ყვირის) შენ ხომ ქალი არ ხარ, შენ რა დედობის ღირსი ხარ!

Scanned with CamScanner

მეგონა, რომ საშვილოსნოსნოში დიდი ხვრელი გამიჩნდა, დიდი შავი ხვრელი, ყველაფერი ამ შავ ხვრელში ქრებოდა... ის კი ისე ეკრობოდა ჩემს საშვილოსნოს კედელს, როგორც ენა ყინულის ნატეხს, როგორც სიგარეტის ფილტრი ტუჩს...

მანეკენი მეგაფონში ყვირის: შენი შვილი შენი შავი ხვრელი გახდა! შენ სამუდამოდ გაქრები! შენ ხომ ქალი არ ხარ, შენ რა დედობის ღირსი ხარ!

(სინათლე ისევ ქრება. სიბნელეში ისმის ბავშვის ტირილი, რომელიც თანდათან ძლიერდება და სონიას ხმა.)

და აი, მომყავს... წითელ კაბაში გამოხვეული. ფეხებს ძლივს ვადგამ. ვჩერდები მშენებლობასთან. თვალებს ვხუჭავ. არაფერზე ვფიქრობ. უცბად ბურთივით ვისვრი. მიფრინავს მისი პატარა სხეული. გამოვრბივარ. არ მინდა დაცემის ხმა გავიგო. არ მინდა ეს ხმა მახსოვდეს.

იქნებ მივბრუნდე და დავიყვირო, როგორც დედაჩემი მიყვიროდა, დაბრუნდი შვილო, ფრთხილად, არ დაეცე, აღარასოდეს არ გადაგაგდებ, შვილო. დაბრუნდი ჩემთან, მე ყოველთვის შენთან ვიქნები. მაპატიე, მაპატიე...

(სინათლე ინთება)

სანდრო. ვერ ვიჯერებ.

Scanned with CamScanner

ელენე. პოლიციელებით სავსე იყო იქაურობა. წითელ კაბას მოვკარი თვალი.

სონია. ყოველ ღამე მესიზმრებოდა, როგორ გლეჯდა შავი ძაღლი ნაკუწებად, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ბუზები ეხვეოდნენ.../

(პაუზა)

ელენე. გაჩუმდი სონია, რას ყვები?

სონია. მერე მუშაობა დავიწყე თქვენთან. პირველ დღეს მშენებლობასთან ჩამოვიარე. გავჩერდი. ცრემლები მომდიოდა... როგორ მინდოდა იმ მომენტის უკან დაბრუნება. მინდოდა ხელებში მჭეროდა ისევ. მინდოდა უკან გავბრუნებულიყავი. უკან გავბრუნებულიყავი, ხელებში კი ის მჭეროდა... ჩემს ძველ წითელ კაბაში გახვეული.../

(ტელეფონი რეკავს. სანდრო პასუხობს.)

სანდრო. გამომცემლობა „ნეონი" გისმენთ... დიახ, ჩავიწერ თქვენს შეკვეთას/

სანდრო. ასი „დედა, მამა, 8 შვილი და საბარგო მანქანა", ასი „როცა ჩემს მშობლებს დაავიწყდათ, როგორ ემეგობრათ"...

შეკვეთას ხვალისთვის გაგიმზადებთ./

(ისმის გათიშული ტელეფონის ხმა)

Scanned with CamScanner

სონია. ყოველდღე ვჩერდები იმ მშენებლობასთან... ყოველდღე იმავე გზას გავდივარ. ვჯდები და ველაპარაკები... არ ესმის ჩემი, საერთოდ არ ესმის... თავისთვის თამაშობს. იშვიათად თუ გამომხედავს გაბუტული თვალებით. ისეთი გამხდარია, დალეული... მიწაში თამაშობს. ვუბრაზდები, დაისვრები-მეთქი. მაგრამ არ მიჯერებს. თავისი პატარა ხელებით იღებს მატლებს და სახეზე წურბელებივით ისვამს. ჩემი შვილი... ჩემი პატარა.../

(სანდრო რაღაცის თქმას ცდილობს.)

ელენე. სონია, გაჩუმდი! თავი მოგვაბეზრე. დღეიდან გათავისუფლებული ხარ!

Scanned with CamScanner